ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

8 აგვისტო, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 148 (10 317) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




მსოფლიო პრესამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ხიეტლში პლანეტის ორი გოლიათის, ქართველი დავით გობეჯიშვილისა და ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერის შერკინებაზე. ამ ორთაბრძოლის პერიპეტიებს მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

## დღეს გამოვლინდება პირველი ჩემპიონი

**გუშინ** მოსკოვში დაიწყო 45-ე მსოფლიო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში, რომელშიც მონაწილეობს 60 ქვეყნის 1700 სნაიპერი. შეჯიბრება ტარდება ორ სასროლეთზე — „დინამოს" ოლიმპიურ კომპლექსზე მიტიშჩიში და ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკებში. სულ გათამაშდება მედლების კომპლექტების სარეკორდო რაოდენობა — ორმოცდათექვსმეტი, ამასთან, ლუჟნიკებში იასპარეზებენ პნევმატური იარაღით მსროლელები, მიტიშჩიში კი ტყვიის და სასტენდო სროლის ოსტატები.

საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. შამბურკინის განცხადებით, გუნდში ჩარიცხულია ყველა უძლიერესი მსროლელი. მწვრთნელი განსაკუთრებით გამოჰყოფს ოლიმპიურ ჩემპიონებს: ნ. სალუქვაძეს, ი. შილოვას, ა. კუზმინს და დ. მონაკოვს, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონებს ი. ბასინსკის და მ. ლოგვინენკოს (დობრანჩევას), ფავორიტთა შორის შამბურკინმა დაასახელა აშშ-ის, გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და გდრ-ის სპორტსმენებიც.

მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდება დღეს პნევმატური შაშხანით სროლაში (10 მეტრი, 60 გასროლა), ჩემპიონატი კი 19 აგვისტოს დამთავრდება.

**მოსკოვი. ტელეფონით „ლელოს" სპეც. კორ.**

## კეტბურთი: საქართველო—აშშ

**დიახ,** სწორედ, რომ საქართველო და აშშ. ამ დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფებიან ამერიკელი ახალგაზრდა კეტბურთელები, რომლებიც აქ ჩამოიყვანა ცნობილმა ბიზნესმენმა, ამერიკის 33 სატელევიზიო არხის პრეზიდენტმა რობერტ შმიდტმა.

დღეს, 18 საათზე, თბილისის 26 მაისის სახ. სტადიონზე აშშ-ის კეტბურთელებს უმასპინძლებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.



## კასპში—დიდი მოურავის პრიზზე

**ალარავის** აკვირვებს ჩვენს სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში შაბათ-კვირას საჭიდაოს ჰანგები რომ გაისმის. მათ შორის, რა თქმა უნდა, არც კასპელებისთვისაა უცხო ნახერხდაყრილ წრეში ვაჟკაცთა ტრიალი, მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. დიახ, უყვარს აქაურ დიდ-პატარას ქართული ჭიდაობა და თავიც მოაქვთ, რომ ოდითვე იქ კარგი ფალავნები იზრდებოდნენ...

და მაინც, მომავალ შაბათ დღეს მოუთმენლად ელიან აქ, რადგან კასპი დიდი ჭიდაობის მოწმე გახდება — გათამაშდება სახელოვანი თანამემამულის გიორგი სააკაძის პრიზი. ეს იქნება ღია პირველობა, რომელშიც მონაწილეობის უფლება ექნება ყველას. ჩემპიონები გამოვლინდებიან 60, 65, 72, 78, 84 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში. 72 კგ-ს ზევით წონებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული სპორტსმენები აბსოლუტური ფალავნობისთვისაც იბრძოლებენ.

საკმაოდ მაღალია საპრიზო ფონდი. პირველ ადგილზე გასული მიიღებს 500 მანეთს, მომდევნო ადგილებზე გასულებს შესაბამისად 300 და 200 მანეთი მიეცემათ.

მონაწილეთა აწონვას შეუდგებიან 11 საათიდან. შეჯიბრება კი 14 საათზე დაიწყება.

### კეთილი ნების თამაშები

## სამივე პრიზიორთა შორის

**კეთილი** ნების თამაშების ძიუდოისტთა ტურნირი საქართველოს სპორტის მოყვარულთა საგანგებო ინტერესს იწვევდა და ეს გასაგებიც არის, ვინაიდან შეჯიბრებაში სამი ჩვენი თანამემამულე გამოდიოდა. ტურნირის შედეგები უკვე ვიცით, ამიტომ, შეგახსენებთ მხოლოდ, რომ ამირან ტოტიკაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, კობა კურტანიძემ და ვლადიმერ დგებუაძემ კი ბრინჯაოს ჯილდოები დაისაკუთრეს. ალბათ იმის აღნიშვნაც ღირს, რომ დგებუაძეს ფინალში გასასვლელი ბრძოლა იაპონელ იოსიცაკასთან ფაქტიურად, მოგებული ჰქონდა, მაგრამ შეხვედრის ბოლო წამებზე დაშვებულმა უყურადღებობამ იაპონელს საშუალება მისცა ეფექტური ილეთი შეესრულებინა. ეს უყურადღებობა, პირველ რიგში, გამოუცდელობის ბრალია და ამ ნაკლს, დროთა განმავლობაში, ცხადია, მოევლება.

მედლების რაოდენობით საბჭოთა კავშირს იაპონიამ გაუსწრო, მაგრამ მას ერთით ნაკლები უმაღლესი ჯილდო აქვს. გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია ძიუდოისტთა ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის მიერ მიღებული მედლების რაოდენობა. თანაც შეგახსენებთ, რომ აბსოლუტურ კატეგორიაში პირველობა არ გათამაშებულა:

| | | | |
|---|---|---|---|
| **იაპონია** | 2 | 1 | 4 |
| **სსრ კავშირი** | 3 | — | 3 |
| **სამხ. კორეა** | 1 | 1 | 1 |
| **გფრ** | 1 | — | 2 |
| **აშშ** | — | 2 | — |
| **მონღოლეთი** | — | 1 | — |
| **პოლონეთი** | — | 1 | — |
| **კუბა** | — | 1 | — |
| **ბრაზილია** | — | — | 2 |
| **უნგრეთი** | — | — | 1 |
| **კანადა** | — | — | 1 |

**ახლა პრიზიორთა სრულ სიასაც გადავხედოთ:**

**60 კგ.** 1. ა. ტოტიკაშვილი (სსრკ), 2. ბ.დაშგომბინი (მონღოლეთი), 3. ს .იამაცაკი (იაპონია) და რ. ვოლენცეკი (გფრ).

**65 კგ.** 1. იო სან კიმი (სამხრეთ კორეა), 2. ჯ. პედრო (აშშ), 3. მარკო ანტონიო და კასტა (ბრაზილია), ი. იამამოტო (იაპონია).

**71 კგ.** 1. ი. იოსიცაკა (იაპონია), 2. მ. სვეინი (აშშ), 3. ვ. დგებუაძე (სსრკ) და ბ. ჰაიოში (უნგრეთი).

**78 კგ.** 1. ბ. ვარაევი (სსრკ), 2. ფ. კაბურაგი (იაპონია), 3. ხან ლი (სამხრეთ კორეა) და ჰ. ჯონსი (კანადა).

**86 კგ.** 1. ხ. ოკადა (იაპონია), 2. ვ. ლეგენი (პოლონეთი), 3. ი. ჰოფმანი (გფრ) და ვ. შესტაკოვი (სსრკ).

**95 კგ.** 1. დ. კნორეკი (გფრ), 2. იან კი ბეკი (სამხრეთ კორეა), 3. კ. კურტანიძე (სსრკ) და კ. აკიამა (იაპონია).

**მძიმე.** 1. ს. კოსოროტოვი (სსრკ), 2. ფ. ე. გარსია (კუბა), 3. ხ. ვატანაბე (იაპონია) და ჰ. მ. ნერი (ბრაზილია).

## „ავტოგრაფები" ტაბლოზე

**წყალში ხტომა.** ვაჟები. 10 მ. კოშკი. 1. ი. ჰემბელი (გდრ) — 618,81.

**კრივი.** 48 კგ. 1. ე. გრიფინი (აშშ); 57 კგ. 1. ო. დე ლა ჰოია (აშშ); 63,5 კგ. 1. კი ცზიუ (სსრკ); 71 კგ. 1. ი. აკოფკოხიანი (სსრკ); 81 კგ. 1. ა. კურნიავკა (სსრკ); +91 კგ. 1. ე. ბელოუსოვი (სსრკ).

**კალათბურთი.** ქალები. VII ადგილისთვის: კანადა — ჩსფრ 72:66; V ადგილისთვის: ავსტრალია — ს. კორეა 79:69; III ადგილისთვის: ბულგარეთი — ბრაზილია 83:73; ფინალი: აშშ — სსრკ 82:70. საბოლოო შედეგები: 1. აშშ, 2. სსრკ, 3. ბულგარეთი.

**ჰოკეი.** III ადგილისთვის: შვეცია — კანადა 6:1; ფინალი: სსრკ — აშშ 5:3. საბოლოო შედეგები: 1. სსრკ, 2. აშშ, 3. შვეცია.

**კალათბურთი.** ქალები. ნახევარფინალები. 5-8 ადგილებისთვის: ავსტრალია — ჩსფრ 64:63; ს. კორეა — კანადა 80:60. 1-4 ადგილებისთვის: აშშ — ბულგარეთი 106:67; სსრკ — ბრაზილია 94:87.

## საქართველო ცალკე გუნდით...

### თქვენზე ბევრია დამოკიდებული, სპონსორებო!

**როგორც** სპორტის მოყვარულებმა იციან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით ამ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია. ჩვენმა მკლავჭიდელებმა უკვე შორს გაითქვეს სახელი. საქართველოს პირველი ჩემპიონატის შემდეგ უძლიერესნი მონაწილეობდნენ მოსკოვის ღია ჩემპიონატში. იქ ჩვენი სამი წარმომადგენლიდან ორმა ოქროს მედალი მოიპოვა. შემდეგ თბილისში ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირის დღეებში საქართველოს მკლავჭიდელებმა საასპარეზოდ გამოიწვიეს ტურნირის მონაწილე გოლიათები. მსოფლიოს უძლიერეს ძალოსნებთან შერკინებაში ჩვენმა ბიჭებმა კვლავ გაიმარჯვეს.

18 და 19 აგვისტოს მოსკოვში ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით — „მოსკოველი დათვები". პროფესიონალი მკლავჭიდელები ჩამოდიან აშშ-დან, ინგლისიდან, კანადიდან, გფრ-დან, შვეციიდან, ესპანეთიდან... საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაში ცალკე გუნდით იასპარეზებს. გუშინ რედაქციაში გვეწვივნენ საქართველოს ნაკრები გუნდის ხელმძღვანელები და განაცხადეს, რომ ტურნირში მათ გამოსვლას საფრთხე ემუქრება — შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საჭიროა 20 ათასი მანეთი. ეს არ იქნება ტყუილად გაღებული თანხა. დარბაზში დაიდგმება სპონსორის რეკლამა, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უჩვენებენ ტელევიზიის საშუალებით. გარდა ამისა, ფინანსური დახმარება ესაჭიროება თვით გუნდს. თანხა შეიძლება გადარიცხოთ ფედერაციის ანგარიშზე ივერთბანკში. ანგარიშის ნომერია 000161700 (700031). სპონსორებს ვთხოვთ, თავიანთი სურვილი მკლავჭიდელების დახმარების თაობაზე „ლელოს" რედაქციაშიც გვაცნობონ.

# ავტობუსიდან—ტატამზე!

**ოცდახუთი** საათი გაატარეს ავტობუსში ქართველმა კარატისტებმა, შოტოკან-კარატეს რესპუბლიკური ასოციაციის წევრებმა, ვიდრე სტამბულამდე ჩააღწევდნენ. ივლისის ბოლოს აქ ჩატარდა III საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი „ბოსფორის თასი". გვესაუბრება გუნდის მწვრთნელი ზურაბ ლეჟავა:

— ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ბუდაპეშტში, სადაც მსოფლიო თასი თამაშდებოდა, თურქეთის კარატეს ფედერაციამ ამ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვია. როგორც ცნობილია, ამჟამად კარატეს სამყაროში ორი საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს — იტკფ-ი და ვუკო. საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია ამა წლის თებერვალში იტკფ-ს შემადგენლობაში მიიღეს. მაგრამ ჩვენ იმითაც ვართ დაინტერესებულნი, რომ ვუკო-ს წევრებიც გავხდეთ. თურქეთში ეს ტურნირი ვუკო-ს წესებით მიმდინარეობდა. ტურნირის მონაწილე თითქმის ყველა სპორტსმენი შოტოკანის სტილის წარმომადგენელი იყო. თურქეთშიც სწორედ ეს სტილია დანერგილი. ტურნირში მარტო თურქეთიდან 4 გუნდი მონაწილეობდა, ამასთან, გფრ-ის ორი გუნდიდან ერთი მთლიანად გერმანიაში მცხოვრები თურქებისგან შედგებოდა. გარდა ამისა, აქ მონაწილეობდნენ ბელგიის, იორდანიის, სირიის, ალჟირისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

ტურნირი დიდი პოპულარობით სარგებლობს. საკმარისია ითქვას, რომ მის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით თვით თურქეთის პრემიერ-მინისტრი გამოვიდა, ქვეყნის ჰიმნს კი სამხედრო სასულე ორკესტრი ასრულებდა.

შეჯიბრება შვიდ წონით კატეგორიაში ტარდებოდა, თითოეულ მათგანში თითო მონაწილე გვყავდა. ჩვენ მხოლოდ ქალთა შეჯიბრებაში არ მიგვიღია მონაწილეობა. გიორგი ბაკურაძე, თეიმურაზ ცქიტიშვილი და კახა ქუთათელაძე თურქეთში საქართველოს ჩემპიონების რანგით ჩავიდნენ, ოთხ სპორტსმენს — ბაკურაძეს, ქუთათელაძეს, ავთანდილ რაზმაძესა და კახა ბასილიას პერუში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა. ჩვენს მეტოქეთა შორის ბევრი ტიტულოვანი კარატისტი იყო. სამწუხაროდ, ქართველ კარატისტთა უმრავლესობას სწორედ ჩემპიონებთან (ქვეყნისა თუ კონტინენტის) მოუწია შეხვედრა. გუნდური შეჯიბრება წავაგეთ, პირადში კი, — „კუმიტეს" დისციპლინაში — გიორგი ბაკურაძემ და სულხან სიდამონიძემ ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლეს. 29 წლის გიორგი ბაკურაძე 80 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პირველ ორთაბრძოლაში იგი ალჟირის ჩემპიონს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 6:1, შემდეგ მან რუმინელი კარატისტი დაამარცხა, მაგრამ მესამე ორთაბრძოლა გფრ-ის გუნდის თურქ წევრთან წააგო, ამიტომაც მესამე ადგილისთვისღა იბრძოდა. პირველი ორთაბრძოლის დათმობა მოუხდა 24 წლის სულხან სიდამონიძეს (+80), რომელიც ასევე გფრ-ში მცხოვრებ თურქ კარატისტს ხვდებოდა, მერე კი ყველა მომდევნო შეხვედრა მოიგო და, საბოლოო ჯამში, მესამე ადგილზე გავიდა. მე საგანგებოდ ვუსვამ ხაზს იმას, თუ ვისთან წააგეს ჩვენმა სპორტსმენებმა, რადგანაც თურქებთან მოგება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. 45 მსაჯიდან 39 თურქი იყო. მსაჯობის არაობიექტურობით გაგულისებულმა იორდანიის გუნდმა უარი თქვა გამოსვლის გაგრძელებაზე, მაგრამ სკანდალის ჩაშოშმინება მოხერხდა და შეჯიბრებაც გაგრძელდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენ კმაყოფილები ვართ ჩვენი გუნდის მონაწილეობის შედეგით, გარდა წმინდა სპორტული მიღწევისა, ყოველ ტურნირს ახალი კონტაქტები მოაქვს, ყოველი ასეთი შეჯიბრება ახალ ჰორიზონტებს გადაგვიშლის. თურქეთის კარატეს ფედერაციამ „ბოსფორის თასის" ყველა ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვია. ასეთი ტურნირები ყოველწლიურად ეწყობა სტამბოლში. გარდა ამისა, ჩვენ სირიის, გფრ-ის, იორდანიის კარატისტებთანაც დავამყარეთ კონტრაქტები. შესაძლოა, ქართველმა კარატისტებმა ამ ქვეყნებში გამართულ შეჯიბრებებშიც შეძლონ მონაწილეობის მიღება. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ალბათ, მგზავრობის სახსრების საკითხი უნდა გადაწყდეს. ამჟამად სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას" დახმარება რომ არა, ჩვენ, ალბათ თურქეთის ტატამზე ვერ მოვხვდებოდით, თუნდაც პირდაპირ ავტობუსიდან.



გიორგი ბაკურაძე



სულხან სიდამონიძე.

---

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ● სამბო

## ასპარეზობენ ჭაბუკები და... გოგონებიც

**თბილისის** სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში დაიწყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები სამბოში.

ჩვენმა მაყურებელმა უკვე „შეაჩვია" თვალი ძიუდოისტ გოგონათა გამოსვლებს, მაგრამ სუსტი სქესის წარმომადგენელთა ასპარეზობას სამბოში პირველად იხილავს.



საერთოდ, სამბისტი გოგონები პირველად მონაწილეობენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში.

ქართველი კაცი მოჭიდავეებისაგან ყოველთვის ბევრს ელის. ამჟამად აშკარად შეიმჩნევა წინსვლა სპორტის ამ სახეობაში — საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეთა ბოლოდროინდელი წარმატებები ხომ ამის უტყუარი საბუთია. იმედია, არც მოსწავლე სპორტსმენები გაგვიწბილებენ იმედებს და მხარს აუბამენ უფროს „კოლეგებს".

**გუშინ** საღამოს 42 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა, აზმეტელმა ჯახიდ ყორბეზაშვილმა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

---

მადლი ჰქენი...

## მხარში ამოვუდგეთ!

### „სპეშიალ ოლიმპიქსი" — ინვალიდ სპორტსმენთა ოლიმპიადა

**ალბათ,** ბევრს არ სმენია საერთაშორისო ორგანიზაციის „სპეშიალ ოლიმპიქსის" შესახებ. ეს არის საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია ინვალიდ ადამიანთა ფსიქოფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით, მათი ფიზიკური შესაძლებლობების სრული გამოვლენით. ორგანიზაციის უმთავრესი მიზანი სწორედ ასეთ ადამიანებზე ზრუნვაა, მისი საქმიანობა აიმედებს 250 მილიონ ინვალიდს, რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, ადამიანის შესაძლებლობანი უსაზღვროა, თუნდაც ინვალიდისა.

„სპეშიალ ოლიმპიქსის" ეგიდით გამართულ ასპარეზობებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ ინვალიდს. სამწუხაროდ, დღემდე არც ერთ ქართველ ინვალიდ სპორტსმენს არ უსარგებლია ამ უფლებით. თუმცა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის დაფუძნება და მისი მცდელობა — მიაწვდინოს ხმა „სპეშიალ „ოლიმპიქსის" ხელმძღვანელობას, რათა ქართველი ინვალიდი სპორტსმენებიც ჩაებთონ თამაშებში — იმედს გვაძლევს, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც ისინიც გამოცდიან ძალებს საერთაშორისო სარბიელზე.

ამ კეთილშობილური საქმის მოგვარებაში ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სპორტსაზოგადოება „შევარდენმა". ინგლისურიდან უნდა ითარგმნოს „სპეშიალ ოლიმპიქსის" 25 წლის საქმიანობის მომცველი სპეციალური ლიტერატურა (ბროშურები, ბუკლეტები, პროგრამები). თბილისის ერთ-ერთ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში გაიხსნას „სპეშიალ ოლიმპიქსის" (ინვალიდთა) სპორტული სკოლა.

თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს ბავშვთა სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის საექიმო კონტროლის, სპორტული მედიცინის, სპორტული რეაბილიტაციისა და ფსიქონერვული ამბულატორიული განყოფილებების თანამშრომლები, თავის მხრივ, ჰპირდებიან ინვალიდთა სპორტულ ფედერაციას, რომ სამედიცინო მომსახურებას გაუწევენ საქართველოს იმ ინვალიდ სპორტსმენებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, მონაწილეობა მიიღონ „სპეშიალ ოლიმპიქსის" თამაშებში.

მოვუწოდებ ყველას, მხარში ამოუდგნენ ინვალიდთა სპორტულ ფედერაციას ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში!

**თ. ქუთათელაძე,**
**თბილისის ბავშვთა სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი, საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.**

---

ქართული პრესა წერდა...

## ცხენოსნობა...

„ზუგდიდი. სული წმინდის მოსვლის დღეს ჩვენში თარგამულობა იციან... წელსაც დიდი ხალხი იყო თარგამულში, მაგრამ დღესასწაულმა მშვიდობიანად გაიარა...

ჩვენში ჯირითობა ძლიერ გავრცელებულია და ამასთან ერთად ესრედ წოდებული „აფსუანი". რაც უფრო დრო მიდის, იმდენად ცხადდება მათ შორის სხვა და-სხვა მადნის ყაბარდულები. მაგის მეტი რა აქვთ საქმე? არცა ხვნენ, არცა სთესვენ, მუდამ ცხენზედა სხედან და, რასაკვირველია, რამდენად ადამიანი მუყაითად მოექცევა რომელსამე საქმეს, იმდენად ხელოვნდება და ვარჯიშდება ამ საქმეში.

ამ ჯარში ერთის თაოსნის განკარგულებას ემორჩილებიან, ყველა მაყურებლები იმის ირგვლივ დაამწკრივებენ ცხენოსნებს, ისე რომ შუა გულში დარჩეს 40-50 საჟენამდე. შემდეგ გამოიწვევენ ერთი მეორეს, მაგრამ პირველად ისინი, რომელთა ცხენებსაც ტოლი არა ჰყავს. განსაკუთრებით წელს გაიმართა ჩვენში შესანიშნავი ჯირითი, არა მგონია, რომ მაგნაირი თვალსაქციელით და საყურადღებო ცხენის თამაში სადმე გამართულიყოს. ჯერ ისევ გარბოდნენ თითოეულად შუაგულში ყაბარდულით, მერე — კი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მაგრამ იყო ისეთი ცხენებიც, რომლებიც ერთ საჟენზედ არა ნაკლებ იწევდნენ ზევით და მერე თავისუფლად ძირს ეშვებოდნენ. თუ გაწვრთნილი კაცი არ იყო. თავს ვერ დაიჭერდა და მიწას პირ-და-პირ ეცემოდა. მაგრამ, რადგანაც ყველანი მცოდნენი და დახელოვნებულნი იყვნენ, ამნაირი ხიფათი იშვიათად მომხდარა..."

**ი. ხუნწარია,**
**„ივერია", 1894 წ. 7 ივლისი.**

• • •

„წერილი ქუთაისიდან: 11 ოქტომბერს აქაურმა მარულას საზოგადოებამ გაჰმართა ქუთაისის განაპირას ს. ბანოჯას ახლო მარულა. საჩუქარი პირველის ჰენებისა 200 მან. იყო: პირველის ცხენისათვის 160 მან; მეორისათვის 40 მან. პირველ ჰენებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ცხენებს ყოველის მხრის, ყოველნაირის ჯიშისას და ყოველის ხნისას, როგორც ჰაკს, ისე ულაყს; ეს ჰენება ეგრედ წოდებული ჯენტლემენური ჰენება იყო. სარბენალი მანძილი 2 ვერსი და 100 საჟ. ტვირთი სამის წლის ულაყისათვის 4 ფუთი და 7 გირვანქა, 4 წლისათვის — 4 ფუთი და 15 გირვანქა და უხნესისათვის — 4 ფუთი და 23 გირვანქა, ჰაკებს ხუთი გირვანქით ნაკლები ჰქონდათ. ამ ჰენებაში ორივე საჩუქარი აიღო უგანათლებულესმა თ-დ დ.კ. დადიანის ულაყმა ცხენმა „თემირ თაზმა", რომელზედაც თვითონ პატრონი იჯდა; ეს ცხენი ტუგანოვის ჯოგისა არის.

მეორე ჰენებაში მონაწილეობას იღებდა ოთხი ცხენი: თავ. ს. ანჩაბაძისა „ცურუნა", თავ. გ. ი. მხეიძისა „კამათელი", ბ-ნ ჰრიხოდკოსი „ყარაჩაი" და ბ-ნ კოვალენკოსი „მტრედი". სარბენალი მანძილი — 6 ვერსი იყო. საჩუქარი ასის მანეთის ნივთები და ოცი მანეთი ფული უკანასკნელ ორ ცხენს ხვდა".

**„ივერია", 1898 წ. 18 ოქტომბერი.**

მოგვაწოდა
**სულიკო ნუცუბიძემ.**

---

სპორტული ბაზა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაც არ ამართლებს, ნუ ვეგუებით

**საქართველო** იმ ქვეყნების საუთვალავში შედის, რომლებიც წყლის დეფიციტს არ განიცდიან. ათასობით მდინარე და ტბა, წყალსაცავები... დასასრულ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიას თითქმის 306 კილომეტრზე ზღვა აკრავს. ამავე დროს პროცენტულად ჩვენში ძალიან დიდია წყალზე ცურვის უცოდინარობის გამო დაღუპულთა რიცხვი. სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი? პასუხი კონკრეტულია — ცურვის შესწავლა სკოლებში კი არა, ფეხის ადგმამდე უნდა დავაწყებინოთ პატარებს. ეს — სიტყვით, საქმით კი ჩვენში სამისო პირობები არ არის და ალბათ კარგა ხანს არც იქნება. სხვა გზა არ არის, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რაც გაგვაჩნია. მხედველობაში გვაქვს მცირერიცხოვანი საცურაო აუზები, რომლებიც აქა-იქ არის რესპუბლიკაში. ერთი მათგანია გორში — გარეგნულად ლამაზი, თვალმისასვლელი ნაგებობა, მაგრამ ფუნქციით — ნომინალური.

ჩვენს გაზეთში ბევრჯერ დაიწერა გორის სახალხო განათლების განყოფილების ამ საცურაო კომპლექსის შესახებ. სხვადასხვა წინადადება, რომლებიც მაშინ წამოიჭრა, გაითვალისწინეს როგორც ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა, ისე სახალხო განათლების სამინისტრომ, მათ ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც ჩვენს ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება, მაგრამ საქმეს საბოლოოდ მაინც არ ეშველა. არც ეშველება, ვიდრე მწვრთნელთა ხელფასი მინიმალურია, ვიდრე აუზისთვის თბილი წყლის მიწოდება ვიღაც რიგითი მუშაკის გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული, ვიდრე სპორტულ ბაზას პატრონი ჰყავს და არც ჰყავს, ვიდრე საქმისთვის პასუხისმგებელია ყველა, მაგრამ კონკრეტულად — არავინ და ა. შ. და ა. შ.

ამას წინათ, კვლავ მივიღეთ კრიტიკული წერილი გორიდან. ავტორების გულისწყრომა სამართლიანია. გორის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გივი გაგნიძე ესწრებოდა აუზის ხელმძღვანელობასთან და მწვრთნელებთან ჩვენს საუბარს. ამ საუბარმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ძველი სტილით მუშაობა აღარ შეიძლება. სასიამოვნოა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა და პირადად გ. გაგნიძე მხარს უჭერენ ყველა სიახლეს, მზად არიან გზა გაუხსნან ყოველივე პროგრესულს, ოღონდ აუზმა იმუშაოს, ოღონდ ჯანმრთელობის და სპორტის ეს თვალსაჩინო კერა მოსახლეობის სამსახურში ჩადგეს. ახლა, კონკრეტულ წინადადებებზე, რაც აუზისა და ცურვის სპორტსკოლის ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა წამოაყენეს, აქ არ შევჩერდებით. იმის იმედს კი ვიტოვებთ, რომ პროგრესულ წინადადებებს ჩვეული ყურადღებით მოეკიდებიან გორის ხელმძღვანელები და პასუხსაც გვაცნობებენ.

**„ლელოს" სპეც. კორ.**
გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# თამაშები და მისი ეპიზოდები



**მოჭიდავეთა** ნაკრების ხელმძღვანელობამ ძალზე მტკივნეულად განიცადა საბჭოთა გუნდის დამარცხება ამერიკელთაგან კეთილი ნების თამაშებზე. ჩვეულებრივ დინჯმა და აუღელვებელმა უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა ჟიურის სახელზე ოთხი პროტესტი შეიტანა, მაგრამ ოთხივე უარყვეს.

დავა და კამათი ტურნირის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც გაგრძელდა. პირველი პროტესტი, მაგალითად, დაიწერა სერგეი ზამბალოვისა და ზიკ ჯონსის (52 კგ) ფინალური ბრძოლის შედეგზე. მწვრთნელების აზრით მსაჯმა 2 ქულა დააკლო საბჭოთა მოჭიდავეს. პროტესტის გამო შედეგის გამოცხადება 20 წუთით დაგვიანდა. ჟიურიმ დეტალურად შეისწავლა ბრძოლის ვიდეოკადრები და ყველაფერი კანონიერად სცნო.

მეორე პროტესტის მიზეზი გახდა სტეპან სარქისიანის (62 კგ) განცხადება: დონ სმითმა ოფლსადენი საშუალება მიიღო და მასთან ბრძოლა შეუძლებელიაო. მაგრამ ამ ფაქტის დადგენა ძნელი იყო...

საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავეთა (ლაპარაკია თავისუფალ სტილზე) მეტოქეობას ათეული წლების ისტორია აქვს. 1960 წლის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული ამერიკელებს არც ერთხელ არ მოუპოვებიათ გუნდური გამარჯვება. სწორედ ამიტომ ელავდნენ ისინი სიეტლში ასე გამძაფრებით და ამიტომ ნერვიულობდნენ საბჭოთა გუნდის მწვრთნელები.

ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა დავით გობეჯიშვილისა და ბრიუს ბაუმგარტნერის ორთაბრძოლამ. ამ შეხვედრის შედეგის მიმართ პრეტენზია არ ჰქონია არავის — არც არბიტრებს, არც მწვრთნელებს და არც მაყურებლებს, იმდენად დამაჯერებელი იყო ქართველი მოჭიდავის უპირატესობა მეტოქეზე. ფოტორეპორტაჟი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ იმ დღესაა გადაღებული სიეტლში, როცა ქართველი და ამერიკელი მოჭიდავეები ხვდებოდნენ ერთმანეთს.



**ფოტოსურათები გადაღებულია კეთილი ნების თამაშებზე „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტის მიერ.**

# „ლელოს" რედაქციისაგან

**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ამჟამად მიმდინარეობს მეორე წრის შეხვედრები. მდგომარეობა გათამაშების ცხრილში დაიძაბა, შეუპოვარი ბრძოლა წარმოებს როგორც ლიდერთა შორის, ასევე აუტსაიდერებშიც, თითოეული გუნდი ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძვის სასურველი შედეგის მისაღწევად და სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.**

**სწორედ ახლაა საჭირო ზუსტი, შეუცდომელი კონტროლის დაწესება თითოეულ მატჩზე, ბევრი რამაა დამოკიდებული მსაჯებზე, სტადიონებზე შექმნილ საერთო ატმოსფეროზე, მაყურებელზე. ყველამ, ვისაც კი უშუალო კავშირი აქვს ამ მეტად მნიშვნელოვან, სერიოზულ გათამაშებასთან, დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს, საქმეს კეთილსინდისიერება და ობიექტურობა. ახლა, როცა დამოუკიდებელი ჩემპიონატის სრული ბატონ-პატრონნი მხოლოდ ჩვენა ვართ, ჩვენს ფეხბურთს მხოლოდ ჩვენ ვხელმძღვანელობთ, უნდა დავამტკიცოთ კიდეც, რომ ობიექტური, მიუკერძოებელი შეჯიბრების ჩატარების უნარიც შეგვწევს.**

**მაგრამ იშვიათი არაა, როცა რედაქციაში რაიონებიდან და ქალაქებიდან ნაჩქარევ, ჭარბ ემოციებს აყოლილ ცნობებს გვაწვდიან. ბევრ მათგანს მხოლოდ საკუთარი გუნდის წარმატებაზე გაურბის თვალი და მიაჩნია, რომ მსაჯებმა მათი გუნდი საგანგებოდ დაჩაგრეს და ხელიდან გამოაცალეს გამარჯვება. ისინი ხშირად გვწერენ, რომ სტუმრების მხარეს არ დაინიშნა რამდენიმე უეჭველი, „ასპროცენტიანი" პენალტი, რომ მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანეს ასევე „ასპროცენტიანი" თამაშგარე მდგომარეობიდან და სხვა მისთანანი.**

**მოჭარბებული ემოციები და მოუთოკავი ვნებათაღელვანი მხოლოდ ხელს უშლის სიმართლის დადგენას და მსაჯთა ობიექტურობის გარკვევას, ამიტომაც ჩვენი გაზეთის საანგარიშო წერილებში კატეგორიული ხასიათის კრიტიკული შენიშვნები მსაჯთა მისამართით გამოქვეყნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე კორესპონდენტს ექნება მატჩის კომისრის ავტორიტეტული დადასტურება, თუ უკმაყოფილო გუნდის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გააპროტესტა თამაშის შედეგი.**

**მაგალითად, 8 აგვისტოს სოხუმში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე წრის მატჩი ადგილობრივ „ცხუმსა" და თბილისის „შევარდენი-1906"-ს შორის. ჩვენმა სოხუმელმა კორესპონდენტმა თენგიზ პაპკორიამ გვაცნობა, რომ სოხუმელი მაყურებელი და „ცხუმის" ხელმძღვანელობა დიდად უკმაყოფილო დარჩა ჯემალ წერეთლის (რუსთავი) არაობიექტური მსაჯობით. იგი ვალდებული იყო ორ-სამ ეპიზოდში აუცილებლად დაენიშნა 11-მეტრიანი სტუმართა კარში, როცა თბილისელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქციეს სოხუმელი ფეხბურთელები. თამაშის დამთავრების შემდეგ მატჩის ინსპექტორმა ზ. პეტრიაშვილმა, აგრეთვე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა, მსაჯებმა, გუნდების ხელმძღვანელებმა ნახეს ამ ეპიზოდების ვიდეოჩანაწერი. ინსპექტორმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს, რომ მსაჯს მეორე ტაიმში სტუმართა კარში უნდა დაენიშნა 11-მეტრიანი. სოხუმის „ცხუმის" პრეზიდენტმა გ. გაბესკირიამ განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია ჯ. წერეთლის მსაჯობა, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა მატჩის შედეგზე (1:1). ეს შედეგი გაპროტესტებულია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ობიექტურ დასკვნას გამოიტანს ამ შეხვედრის თაობაზე.**

**ამ შემთხვევაში, როცა სოხუმის „ცხუმმა" თამაშის შედეგი ოფიციალურად გააპროტესტა, კორესპონდენტის ინფორმაცია ეჭვს არ იწვევს. გვაცნობეს გორის „დილისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრის შესახებაც. ჩვენი გორელი კორესპონდენტი გვწერს, რომ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ერთ-ერთი ლანჩხუთელი ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში გავიდა მეტოქე მეკარის პირისპირ, გვერდითმა მსაჯმა ეჭვიმაამ ამის თაობაზე ალმით ანიშნა არბიტრ გ. სეფიაშვილს, რომელმაც მისი სიგნალი უყურადღებოდ დატოვა და გოლი ჩათვალა. ლანჩხუთელი ფეხბურთელები მიეჭრნენ გ. სეფიაშვილს და საქმეში მილიცია რომ არ ჩარეულიყო, ალბათ, ფრიად უსიამოვნო ინციდენტიც მოხდებოდა. მატჩის კომისარი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი იძულებული გახდა შესულიყო სათამაშო მინდორზე და დაერწმუნებინა გ. სეფიაშვილი, რომ მისი გადაწყვეტილება მცდარი იყო.**

**სამწუხაროა, რომ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ ხდება ამგვარი უმსგავსობანი — შეცდომები მოსდით მსაჯებს, ფეხბურთელთა რეაქცია კი ისეთია, რომ საქმე შეიძლება ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც მიდგეს. ყველაფერი ეს უკმაყოფილებას იწვევს მაყურებლებში.**

**საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი საყოველთაო ღირსებისა და პრესტიჟის საქმეა, რაკი ამ შეჯიბრებაში ყველა ჩვენი ძლიერი გუნდი მონაწილეობს, მას სათუთი მოვლა და საგანგებო ყურადღება ესაჭიროება. ყველამ — გუნდების ხელმძღვანელებმაც, მაყურებლებმაც, ფეხბურთელებმაც, მსაჯებმაც და ადგილობრივმა კორესპონდენტებმაც გულდასმით უნდა შეაფასონ თითოეული მატჩის პერიპეტიები, ობიექტურად მიუდგნენ ყოველ შეხვედრას.**

## 1:0 და არა 1:1

„ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა გორის „დილისა" და ლანჩხუთის „გურიის" შეხვედრის შედეგი (მატჩი გორში გაიმართა). ბოლო წუთამდე გორელები თამაშს იგებდნენ ანგარიშით 1:0. მატჩის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე „გურიამ" საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ამ გოლმა კამათი გამოიწვია. საქმეში მატჩის კომისარიც ჩაერია. საბოლოოდ მსაჯმა გ. სეფიაშვილმა (თბილისი) ანგარიში უცვლელი დატოვა და ოქმშიც 1:0 შეიტანა გორელთა სასარგებლოდ. ლანჩხუთელებმა მატჩის შედეგი გააპროტესტეს.

# 86 წლის პლანიჩკა — ფეხბურთის მიმომხილველი

**ჩეხოსლოვაკიელი** ფეხბურთელი ფრანტიშეკ პლანიჩკა 1948 წლიდან პენსიონერია, მაგრამ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე არ წყვეტს კავშირს ფეხბურთთან. 1926-1938 წლებში პლანიჩკა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ღირსებას იცავდა, რომლის შემადგენლობაში 74 მატჩი ითამაშა. მას შემდეგ, რაც პენსიონერი გახდა, იგი მაინც განაგრძობდა ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობას. „სულ უკანასკნელად კარში 76 წლისა დავდექი". — ღიმილით ამბობს ლეგენდარული ფეხბურთელი.

86 წლის ფრანტიშეკ პლანიჩკა იტალიაში ფეხბურთის მიმომხილველად ეწვია. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს, ადარებდა ადრინდელ პირველობებს. ფ. პლანიჩკა 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

— იტალიის ახლანდელი ნაკრები ბევრად აღემატება მაშინდელს. ახლა ბევრს ლაპარაკობენ მსაჯების შეცდომებზე, მაგრამ როგორ შეიძლება მათი წინანდელთან შედარება? შვედი ეკლინდი 1934 წელს სჯიდა ფინალურ მატჩს იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა: მუსოლინის გული მოეგო. ჩვენ მაინც შევძელით ანგარიშის გახსნა. არგენტინელმა ფეხბურთელმა ორსიმ, რომელიც მხოლოდ იმიტომ თამაშობდა „სკუადრა აძურაში", რომ ბებია იტალიელი ჰყავდა, შეძლო საპასუხო გოლის გატანა. დაინიშნა დამატებითი დრო, აქ შიავიომ დააწინაურა მასპინძლები.

ფ. პლანიჩკას ახლანდელი მეკარეებიდან მოეწონა ექსტრავაგანტური კოლუმბიელი იგუიტა, თუმცა მისმა გამოსვლამ მსოფლიო ჩემპიონატში კრიტიკული შეფასებაც დაიმსახურა. ჩეხოსლოვაკიელ ვეტერანს იგუიტამ ძველი დროის მეკარეები გაახსენა.

— ჩვენ, მეკარეებს, მინდვრის მეთერთმეტე მოთამაშეებს გვეძახდნენ, მაშინ, მოგეხსენებათ, ხუთი თავდამსხმელი იყო და სამი ნახევარმცველი. მეკარე ახლანდელზე გაცილებით უფრო ხშირად გამოდიოდა კარიდან, საჯარიმო მოედნიდანაც, ეხმარებოდა მცველებს, აქტიურად ერეოდა თამაშში.

მსოფლიო ჩემპიონატი 56 წლის შემდეგ — მართლაც, ბევრი რამ არის საგულისხმო და შესადარებელი. იტალიაში ჟურნალისტებად მუშაობდნენ პელე და ფალკაო, პლატინი და ბობი ჩარლტონი, მაგრამ ფ. პლანიჩკა მსოფლიო ჩემპიონატებს პირველი გათამაშებიდანვე ადევნებს თვალს, ეს კი ბევრს ნიშნავს.

# ნაკრების ახალი შემადგენლობა

**სსრ** კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაგეგმა, 12 აგვისტოს გაემგზავროს იტალიაში ამხანაგური საწვრთნელი შეხვედრების სერიის ჩასატარებლად ადგილობრივ კლუბებთან.

ნაკრების შემადგენლობა საფუძვლიანადაა განახლებული. როგორც მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა განაცხადა, გუნდის სავარაუდო შემადგენლობაში ირიცხებიან: **მეკარეები** — ალექსანდრე უვაროვი, მიხეილ ეროფეევი და ვალერი კლეიმანოვი; **მცველები** — ვასილი კულკოვი, ერვანდ სუქიასიანი, ანდრეი ჩუდინი, ოლეგ კუზნეცოვი, ევგენი დოლგოვი, ანდრეი სიდელნიკოვი; **შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები** — ვალერი ბროშინი, ალექსეი მიხაილიჩენკო, იგორ შალიმოვი, ვლადიმერ ტატარჩუკი, ვადიმ ტიშჩენკო, ედუარდ სონი, ვალერი შმაროვი, იური სავიჩევი, ოლეგ პროტასოვი.

როგორც ხედავთ, განახლებული ნაკრების შემადგენლობაში არ შეიყვანეს რ. დასაევი, ვ. ბესონოვი, ვ. ხიდიატულინი, ა. დემიანენკო, ვ. რაცი, ს. ალეინიკოვი, გ. ლიტოვჩენკო, ა. ზავაროვი, ი. დობროვოლსკი, ა. ბოროდიუკი, ა. ცვეიბა, ვ. ლიუტი, ა. ზიგმანტოვიჩი და მრავალი სხვა.

### ქართველი მოჭადრაკე — „მსოფლიო თასზე“

# ჯერ სეკუნდანტი, შემდეგ მეტოქე

**ასეთი** წარმატება ქართველ მოჭადრაკე ვაჟს არასოდეს ჰქონია — ზურაბ აზმაიფარაშვილმა „მსოფლიო თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და მსოფლიო ჩემპიონსა და მის უახლოეს მეტოქეებს უნდა შეეჭიბროს.

„მსოფლიო თასი“ ახალი შეჯიბრებაა. პირველად იგი 1988-89 წლებში გათამაშდა: შეარჩიეს 24 ყველაზე უფრო ძლიერი დიდოსტატი. თითოეული მათგანი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ოთხ ტურნირში (სულ კი „მსოფლიო თასზე“ 6 ტურნირი ტარდება). რა თქმა უნდა, იგი ამ ოთხ ტურნირს ერთნაირი ძალით ვერ ჩაატარებდა. ამიტომ ჩათვლაში არ შედიოდა მისი ყველაზე უფრო უარესი შედეგი, სამი დანარჩენი კი ჯამდებოდა და საერთო მაჩვენებელი გამოჰყავდათ. თანდათან ჩათვლის ამ თავისებურმა სისტემამ პოპულარობა მოიპოვა. ასე იყო თუ ისე, „მსოფლიო თასი“ გახდა მსოფლიოს სატურნირო პირველობა, იმ პირველობისაგან განსხვავებით, რომელიც პრეტენდენტთა ასპარეზობებით და შემდეგ მსოფლიო პირველობის დიდი მატჩით გვირგვინდება. ასეთი მატჩი ხომ ოქტომბერშიც უნდა გაიმართოს გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის.

შარშან „მსოფლიო თასის“ პირველი გათამაშება გარი კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდა. მან ანატოლი კარპოვი ჩამოიტოვა და ამით უფრო განიმტკიცა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის რეპუტაცია. ამასთან, კასპაროვისა და კარპოვის გარდა, „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშებაში პერსონალურად გამოსვლის უფლება მოიპოვა კიდევ ოთხმა პრიზიორმა — ვალერი სალოვმა, იაან ელვესტმა (ორივე — საბჭოთა კავშირი), ლიუბომირ ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) და ჯონ ნანმა (ინგლისი). დანარჩენებს შესარჩევი შეჯიბრებების ამა თუ იმ ეტაპზე უნდა ეცადათ ბედი.

ზურაბ აზმაიფარაშვილი „მსოფლიო თასის“ პირველ გათამაშებაში არ მონაწილეობდა, ასე რომ, მას ძნელი გზა უნდა გაევლო. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო „მსოფლიო თასის“ ე. წ. ფინალურ შესარჩევ შეჯიბრებაში თამაშის უფლების მოპოვება, რაც მეტად რთული აღმოჩნდა. ქართველმა მოჭადრაკემ ეს უფლება ვერ მოიპოვა ვერც ბელგრადში, ვერც მოსკოვსა და პალმა-დე-მალიორკაში (ესპანეთი). რჩებოდა კიდევ ერთი შესაძლებლობა: რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოსვლა და ამ გზით ფინალურ შესარჩევ შეჯიბრებაში მოხვედრა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

ეს დასკვნითი შესარჩევი შეჯიბრება, როგორც ცნობილია, მოსკოვში გაიმართა. უამრავ მონაწილეს შვეიცარიული სისტემით — 11 ტურად უნდა ეთამაშა, ქართველმა დიდოსტატმა ამჯერად ბრწყინვალედ ითამაშა. მან 3 პარტია მოიგო, 8 ყაიმით დაამთავრა და 7 ქულით I-V ადგილები გაიყო. ამ შედეგმა მას ფინალისკენ გაუხსნა გზა.

ვინ იქნებიან „მსოფლიო თასზე“ ჩვენი საუკეთესო დიდოსტატის მეტოქეები? იმ ექვს მოჭადრაკეზე, რომლებმაც ეს უფლება პირველი გათამაშებიდან მიიღეს, ჩვენ უკვე მოგახსენეთ. ახლა მათ, აზმაიფარაშვილის გარდა, კიდევ 11 დიდოსტატი დაემატა. 7 მათგანი უცხოელია. ინგლისელი ჯონათან სპილმენი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია. საკმარისია აღინიშნოს, რომ „მსოფლიო თასზე“ თამაშის გარდა მან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ასპარეზობაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასე რომ, მომავალი წელი მეტად დაძაბული ექნება. მისგან განსხვავებით, უნგრელ ლაიოშ პორტიშს შეუძლია მთელი თავისი შესაძლებლობის კონცენტრაცია სწორედ „მსოფლიო თასზე“ მოახდინოს, რადგან, საკუთარი განცხადებით, ასაკის გამო (იგი 53 წლისაა) „ორ ფრონტზე“ ბრძოლა უკვე აღარ ძალუძს. იგივე უნდა გააკეთოს აშშ-ის საუკეთესო მოჭადრაკემ იასერ სეირავანმა, თუნდაც იმიტომ, რომ საზონათშორისო ტურნირში უფერულად გამოვიდა და პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლება ვერ მოიპოვა. ახალგაზრდა ბულგარელი კირილ გეორგიევი, ამერიკელი ნიკ დე ფირმიანი და ინგლისელი მიურეი ჩანდლერი მოსკოვში მიღწეული წარმატების შედეგად მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების რიცხვში მოხვდნენ. აი, იუგოსლაველ პრედრაგ ნიკოლიჩს მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგები აქვს. ჯერ იყო და, მოსკოვში ითამაშა საუკეთესოდ და „მსოფლიო თასზე“ გამოსვლის უფლება მოიპოვა, მცირე შესვენების შემდეგ კი, ასევე ჩინებულ შედეგს მიაღწია ბაგიოს (ფილიპინები) საზონათშორისო ტურნირში, რის შედეგადაც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა. ერთი სიტყვით, ერთსაც მიაღწია და მეორესაც.

ახლა კი, ორიოდე სიტყვა „მსოფლიო თასის“ დანარჩენი საბჭოთა მონაწილეების შესახებ. მიხეილ გურევიჩის (მოსკოვი) მორიგი მიღწევა, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო — ბოლო წლების მანძილზე მას არაერთხელ უასპარეზია ჩინებულად. იგივე ითქმის ალექსანდრ ბელიავსკიზე (ლვოვი). საინტერესოა, რომ მოსკოვში წარმატების შემდეგ მას შეეძლო ბაგიოშიც გამგზავრებულიყო, მაგრამ ძალების დაზოგვა არჩია — ყველგან, ყველაფერს ვერ გამოვეკიდებიო. არც ალექსანდრ ხალიფმანის (ლენინგრადი) შედეგი იყო დიდად მოულოდნელი. გავიხსენოთ, რომ მან მარტში ნიუ-იორკის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, აი, თასის საგზურის მოპოვება მოსკოველ ევგენი ბარეევის მიერ კი გარკვეულ სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ.

მაშ ასე, ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც ახლა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის სეკუნდანტია ანატოლი კარპოვთან მისი შეხვედრის წინ, როგორც კი დამთავრდება ეს მატჩი, თვითონ გახდება ორივე მათგანის მეტოქე მეტად ძლიერ და პრესტიჟულ შეჯიბრებაში — „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშებაში.

**ბიძი ბამრეკელი**

# ხირბილით მსოფლიოს გარშემო

ორ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდება უჩვეულო რბენა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო დრეზდენის მკვიდრმა რენე ბაჰმანმა. მას გადაწყვეტილი აქვს ამ ხნის განმავლობაში შემოურბინოს მსოფლიოს და თავის ქალაქში დაბრუნდეს.

ყოველდღიურად ამ „მარათონელმა“ უნდა დაფაროს 90 კილომეტრი. ევროპიდან იგი გაემგზავრება ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას. ტოკიოდან თვითმფრინავით ჩავა ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე. მაიამიდან ისევ თვითმფრინავის დახმარებით მიაღწევს სენეგალის დედაქალაქ დაკარს. მერე გააგრძელებს რბენას ჩრდილოეთ აფრიკის მიმართულებით და იქიდან ევროპის კონტინენტზე დაბრუნდება. ბაჰმანი ვარაუდობს, რომ 1992 წლის დეკემბერში დრეზდენში დაბრუნდება.

ამ ზემარათონულ გარბენს აფინანსებს რამდენიმე სპონსორი, მათ შორის დრეზდენის „დინამო“.

# გზატკეცილის მეფენი

**ახლა**, როცა სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენში „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლები, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის სპორტსმენები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სპორტის ამ სახეობის არსებობა.

მსოფლიოში, ჯერჯერობით, მხოლოდ 22-მა პილოტმა შეძლო პირველობის მოპოვება. აი, ისინიც:

ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა)—მსოფლიოს 5-გზის (1951, 54, 55, 56, 57 წწ.) ჩემპიონი, ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.

სამგზის ჩემპიონები არიან: ჯეკ ბრებემი (ავსტრალია)—1959, 1960, 1966 წწ., ჯეკი სტიუარტი (შოტლანდია)—1969, 1971, 1973 წწ., ნიკი ლაუდა (ავსტრია) — 1975, 1977, 1984 წ.წ. ნელსონ პიკე (ბრაზილია)—1981, 1983, 1987 წ.წ. ალენ პროსტი (საფრანგეთი)—1985, 1986, 1989 წწ.

ორ-ორჯერ გახდნენ ჩემპიონები: ალბერტო ასკარი (იტალია)—1952, 1953 წწ., გრემ ჰილი (ინგლისი)—1962, 1968 წწ., ჯიმ კლარკი (შოტლანდია)—1963, 1965 წწ. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) — 1972, 1974 წწ.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს თითოჯერ ფლობდნენ: ჯუზეპე ფარინა (იტალია)—1950 წ., მაიკ ჰოუთორნი (ინგლისი)—1958, ფილ ჰილი (აშშ)—1961 წ., ჯონ სარტისი (ინგლისი) — 1964 წ., დენის ჰალმი (ახალი ზელანდია)—1967 წ., იოჰენ რინდტი (ავსტრია)—1970 წ., ჯეიმს ჰანტი (ინგლისი)—1976 წ., მარიო ანდრეტი (აშშ)—1978 წ., ჟოდი შექტერი (სამხრეთ აფრიკა)—1979 წ., ალან ჯოუნსი (ავსტრალია)—1980 წ., კეკე როსბერგი (ფინეთი)—1982 წ., აირტონ სენა (ბრაზილია)—1988 წ.

გავიხსენოთ ის სპორტსმენებიც, რომლებმაც თავი შესწირეს თავიანთ საყვარელ საქმეს. პროფესიისადმი ფანატიკური სიყვარულით ამ ხალხმა დიდი აღიარება მოიპოვა და ავტოსპორტის მოყვარულები მათ ყოველთვის პატივით იხსენიებენ. რბოლების დროს დაღუპულთა რიცხვმა 80-ს გადააჭარბა: ლუიჯი ფაჯიოლი (იტალია)—1952 წ., დაიღუპა მონაკოში; ტაციო ნუვოლარი (იტალია)—1953 წ., ალბერტო ასკარი (იტალია)—1955 წ., საფრანგეთი; ლუიჯი მუსო (იტალია)— 1958 წ., საფრანგეთი; პიტერ კოლინზი (ინგლისი)—1958 წ., ნიურბურგრინგი; ჟან ბერა (საფრანგეთი) — 1959 წ.; ვოლფგანგ ბერგე ფონ ტრიპსი (გფრ)—1969 წ.,



მონცა; მორის ტრენტინიანი (საფრანგეთი)—1961 წ.; რიკარდო როდრიგესი—1962 წ. პედრო როდრიგესი—1971 წ. (ორივე—მექსიკა); ლორენცო ბანდინი (იტალია) — 1967 წ., მონაკო; ჯიმ კლარკი (შოტლანდია)—1968 წ., ჰოკენჰაიმრინგი; ჯო შლესერი (საფრანგეთი)—1968 წ., ბრიუს მაკლარენი (ახალი ზელანდია)—1969 წ., აშშ; პიერ კურაჟი (საფრანგეთი) — 1970 წ., ზანდვოორტი; იოჰენ რინდტი (ავსტრია)—1970 წ., მონცა; ჟოზეფ ზიფერტი (შვეიცარია) — 1971 წელი, ბრენს ჰეტჩი; როჯერ უილიამსონი (ინგლისი)—1973 წ., ზანდვოორტი; ფრანსუა სევერი (საფრანგეთი) — 1973 წ., უოტკინს გლენი; პიტერ რევსონი (კანადა)—1974 წ., კიალამი; ჰელმუტ კოენიგი (გფრ) — 1974 წ., უოტკინს გლენი; მარკ დონაჰიუ (აშშ) — 1975 წ., ცელტვეგი; ტომ პრაისი (ინგლისი)—1977 წ., კიალამი; რონი პეტერსონი (შვეცია)—1978 წ., მონცა; პატრიკ დეპაიე (საფრანგეთი) — 1980 წ., ჰოკენჰაიმრინგი; ჟილ ვილნევი (კანადა)—1982 წ., ცოლდერი; რიკარდო პალეტი (იტალია)—1982 წ., მოსპორტი; მანფრედ ვინკელჰოკი (გფრ)—1985 წ., მოსპორტი, სტეფან ბელოფი (გფრ) —1985 წ.; ელიო დე ანჯელისი (იტალია)—1986 წ., პოლ რიკარი; დიდიე პირონი (საფრანგეთი)—1987 წელი.

და ბოლოს, წარმოგიდგენთ იმ პილოტებს, რომლებიც არასოდეს ყოფილან ჩემპიონები, მაგრამ მათი ღვაწლი ძალზე დიდია ავტოსპორტის განვითარების ისტორიაში: სტირლინგ მოსი (ინგლისი), ტონი ბრუკსი (ინგლისი), ჯეკი ოლივერი (ინგლისი), ჯანკარლო ბაგეტი (იტალია), კრის ეიმონი (კანადა), კარლოს პაჩე (ბრაზილია), კლეი რეგაცონი (შვეიცარია), კარლოს რეუტემანი (არგენტინა), ჯონ უოტსონი (ირლანდია), ბრუნო ჯაკომელი (იტალია), ჟაკ ლაფიტი (საფრანგეთი), იოჰენ მასი (გფრ), პატრიკ ტამბე (საფრანგეთი), რენე რნუ (საფრანგეთი), ტეო ფაბი (იტალია), ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი). ამ სიის გაგრძელება, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

**დავით ჩუბინიძე**

„სპორტპროგნოზი“, 33-ე ტირაჟის პროგრამა (17-18 აგვისტო)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „პამირი“ (დუშანბე) | 17.VIII | 40 | 40 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 2. „ლოკომოტივი“ (გორკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) | 17.VIII | 20 | 60 | 20 |
| 3. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 17.VIII | 40 | 40 | 20 |
| 4. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (სოხუმი) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| 5. „დინამო“ (სტავროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 17.VIII | 40 | 40 | 20 |
| 6. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| 7. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 17.VIII | 40 | 40 | 20 |
| 8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| 9. „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| 10. „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| 11. „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 17.VIII | 60 | 20 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, ცენტრალური ზონა)** | | | | |
| 12. „ნარტი“ (ჩერკასკი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) | 18.VIII | 20 | 40 | 40 |
| 13. „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 18.VIII | 60 | 20 | 20 |

## უძლიერესთა ოცეული

**ნიუ-იორკი.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 20 უძლიერესი სპორტსმენის სია, რომელშიც სიძლიერის მიხედვით შევიდნენ: 1. შტეფი გრაფი (გფრ), 2. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 3. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 5. ზინა ჰარისონი (აშშ), 6. კატერინა მალეევა (ბულგარეთი), 7. არანტა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი), 8. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ), 9. მანუელა მალეევა (შვეიცარია), 10. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)...

ოცეულში მოხვდნენ, აგრეთვე, ნორჩი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯანიფერ კაპრიატი (XII ადგილი) და ნატალია ზვერევა (XIII ადგილი).



**ფლორიდაში** (აშშ) მიმდინარეობს მზის ბატარეით გამართული ავტომანქანების მრავალდღიანი რბოლა. იგი კომპანია „ჯენერალ მოტორსმა“ მოაწყო. სტარტზე 31 მანქანა გამოვიდა, რომლებსაც 1.600 მილი ჰქონდათ გასავლელი.

ს უ რ ა თ ზ ე: მზიური ავტომობილი „შაინინგ სტარი“ („მოკაშკაშე ვარსკვლავი“) დისტანციაზე გასვლისათვის ემზადება.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

## გიწვევთ „მერანში“

**გაზეთ** „ლელოს“ რედაქცია საჭადრაკო დამატება „მერანში“ (ლიტმუშაკის მთლიან შტატში) სამუშაოდ იწვევს ქართული ენის მცოდნე ჭადრაკის სპეციალისტს, რომელსაც აქვს ჟურნალისტიკაში მუშაობის უნარი.

განცხადებებით მოგვმართეთ „ლელოს“ რედაქციაში ა. წ. 15 აგვისტომდე.

**„ლელოს“ რედაქცია.**

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**პროფკავშირების** სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იწვევს დიასახლისებს, სტუდენტებს, პენსიონერებს და ყველა მსურველს ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ბილეთების გასავრცელებლად.

პირობების გაგება შეგიძლიათ მისამართზე: ა. წერეთლის პრ. № 95-ა (მძლეოსნობის სასახლე).

ტელეფონები: 35-19-67, 35-01-14.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20